# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 98 სამშაბათი, 5 მაისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ასწორებს და ამოკლებს ... ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ვასილ გიორგის ძე გამრეკელი დაუვიწყარ მეუღლის

**მარიამ გრიგორის ასულის გამრეკელის**

გარდაცვალების გამო, გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც დაკრძალვაზე პირადის დასწრებით, დეპეშებით თუ წერილებით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. (2—239—2)

---

**მინადორა მინას ასული ერგემლიძისა, მექია, თემურაზი. პლატონ და ვარდენ კახიძეები** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლისა და დანარჩენნი—ძვირფას სიძის

**ვახტანგ გრიგოლის მის ერგემლიძისა.**

გამოსვენება დღეს, ხუთ მაისს, დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (1 თუმანოვის ქუჩა, N 19) ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე (1—244—1)

---

დღეს, 5 მაისისთვის, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და წირვის შემდეგ საფლავზედ პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა უდროოდ გარდაცვალებულის, ტფილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მეექვსე კლასის მოსწავლის

**თამარ ედიშერის ასულის ნუკრამისა,**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის მასწავლებელთ და ამხანაგთ მღვდელი **დავით ზაქარიას ძე** და **სოფიო ედიშერის ასული** პატარა შვილებითურთ და **მარიამ ზაქარიას ასული გარსიაშვილები**. წირვა დაიწყება 10 საათზე. (1—248—1)

---

**წარმოდგენა № 1. ქართული თეატრი წარმოდგენა № 1**

ოთხშაბათს, 6 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა პ. ირეთელისა.**

## ქრისტინე

დრამა 4 მოქმედ. და 5 სურათად.

მონაწ. მიიღებს მთელი ამხანაგობა **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენა „სად მიხვალ"?. „ღალატი".

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

---

**გაიხსნა ამა წლის 1-ლ მაისს** ხელ-ახლა შეკეთებული, მოწყობილი და განათებული რესტორანი და

## ბაღი „პალერმო"

სამზარეულო ცნობილ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ არის; ყოველ დღე უკრავს სიმებიანი სიმფონიური ორკესტრი, სადილის დროს 1-დან 4 საათამდე და საღამოთი 7-დან 1 საათამდე. სადილები და ვახშმები ძალიან იაფად. რესტორანთან არის კაბინეტები.

რესტორანი ღიაა ნაშუალამევის 2 ს. მიხეილის პრ., 147. (3—236—3)

---

## ქსნის ამხანაგობას

გამოჰყავს წყალი საგარაკო ადგილების სარწყავად, ამისთვის იწვევს **ყველა მოაგარაკეთ** (არა ამხანაგთაც) ამ საერთო საჭირო საქმის გადასაწყვეტად და პირობის შესაკრავად. პირობა ხელსაყრელია ყველასთვის.

კრება დანიშნულია 6 მაისისთვის, დილის 10 საათზე, ბ-ნ ლევანდოვსკის ბინაზე, ვერაზე ანასტასიევსკის ქუჩაზე, სახლი № 14. ვინც არ მოვა, უწყლოდ დარჩება.

(2—238—2) ამხანაგობის მდივანი **გიგო თოიძე.**

---

## მიიღება ხელის მოწერა დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განსავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—11)

---

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ექვსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ-ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილეხ დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან. (23—121—23)

---

5 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტფ. სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების**

## მორიგი კრება.

კრებაზე წაიკითხავენ: 1. ბ-ნი ს. გორგაძე მოხსენებას „ქართულ წყობილ სიტყვაზე" შემდეგის პროგრამით:

1. ენის კეთილხმოვანება. ლექსი. ლექსთა წყობის სისტემები: მეტრული, ტონური და სილაბური.
2. მახვილი ანუ ხმის ამაღლება ქართულ ენაში.
3. სალექსო „მუხლი". მისი გვარები. ხმის-საქცევი და ცეზურა.
4. რითმა. ხანა და ტიპი. რითმის კომბინაციები.
5. ლექსთა კლასიფიკაცია.
6. ოთხ-მუხლიანი ლექსები: შავთელური, შაირი ჩახრუხაული, შაირი რუსთაველური, აკაკური, ბაიათი, გურამული მაღალი, გურამული დაბალი, მცირე გურამული.
7. სამ-მუხლიანი ლექსები: ბესიკური და თეჯლისა.
8. დასკვნა; ქართული ლექსთა-წყობა ნარევი ტიპისაა—იგი ტონურ-სილაბურია.

2. ბ-ნი რუხაძე—ლექსს.
3. ბ-ნი ევდოშვილი—„მუხის ფიქრებს", ლექსს. (3—2)

---

ოთხშაბათს, 6 მაისს,

გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილების სახლში, სამხატვრო სკოლის სადგომში გაიხსნება მოსკოვის ცნობილ მხატვართა

## სურათების გამოფენა

მონაწ. ღებულობენ: ს. ივანოვი, ა. ვასნეცოვი, ლ. პასტერნაკი, კ. იუონი, კ. კოროვინი, ს. ჟუკოვსკი და სხვანი

გამოფენა გაიხსნება დილის 10 ს. და ღია იქნება საღამოს 6 ს. შესვლის ფასი გამოფენის პირველ დღეს 1 მან. დანარჩენ დღეებში მოზრდილთათვის 25 კ. მოწაფეებისა, ბავშვებისა და სალდათებისთვის 10 კ. (4—6.—4)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ ხნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—119)

**ექიმი ჟაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის ხნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—114)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ანდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—138)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების ხნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—70)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ს. 56)

---

**ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების**

## საბჭო

მეორედ იწვევს წევრებს საზოგადო წლიურ ჩვეულებრივ კრებაზე კვირას, 17 მაისს, დილის 11 საათისთვის ჭიათურის თეატრის დარბაზში.

**განსახილველი საგნები:**

1. მოხსენება საბჭოსი;
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1908 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და
5. არჩევნები გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს სამის წევრისა.

ეს კრება მეორედ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—2)

---

## გამგეობა

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო**

## ბანკისა,

ამით აუწყებს ყველას, რომ დასახელებულ ბანკის სავადო კუპონების და სატირაჟო გირავნობის ფურცლების განაღდება ხდება სახელმწიფო ბანკში და ყველა მის დაწესებულებაში (3—6.—3)

---

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგნლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. ! **ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—53)

---

## იყიდება

**სად. მცხეთაში** მიწა, ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. კარგა სამოსახლოდ და სამეურნეოდ. პირობების შეტყობა შეიძლება ანასტასიევსკის ქუჩაზე, სახლი № 19, ბინა 2.

---

## იყიდება

**გასტრონომიული მაღაზია**

და

## კალბასის ქარხანა

ყიფიანისა. გოლოვინის პროსპექტზე, სახ. ბაბანასოვისა. № 41. „რაზგონნი" ფოსტის პირდაპირ. (1—247—1)

---

## ტფილისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის

მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში (8-9 წლის ყმაწვილებისათვის) **მისაღები ეგზამენები** იქნება 21 და 22 მაისს, ხოლო მათი მიღების საქმე გადაწყდება აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

აგვისტოს ბოლო რიცხვებშიაც იქნება ყმაწვილების გამოცდა ამავე განყოფილებაში მისაღებად და აგრეთვე იმ გიმნაზიურს კლასებში, რომლებშიაც აღმოჩნდება თავისუფალი ადგილები. თუ რომელ კლასში იქნება ადგილები და რა დროს მოხდება გამოცდა—თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

თხოვნები გიმნაზიის კანცელარიაში მიიღება. (3—6.—1)

---

## ტფილისი, 5 მაისი

ბევრი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჰხდება ჩვენს დროში რუსეთის იმპერიაში, ზოგი წვრილი და ზოგიც მსხვილი. რუსეთის ქვეშევრდომი ისე ჩვეული ნაირ-ნაირ უცნაურობას, რომ მრავალი რამ მეტად საგულისხმო მას ხშირად უყურადღებოდ ჰრჩება. მაგრამ ამ ბოლო დროს პეტერბურგის გაზეთები ერთს ისეთ წარმოუდგენელ საგანზე სწერენ, რომ ყოველგვარ მოულოდნელ ამბისთვის გამზადებული რუსეთის ქვეშევრდომიც კი ვერ შეჰხედავს მას ჩვეულებრივის გულგრილობით. საქმე პოლონეთის გაყიდვას შეეხება... პირდაპირ გაყიდვას, სწორედ ისეთივე გაყიდვას, როგორც ჰყიდიან ბაზარზე სხვა და სხვა სავაჭრო საქონელს.

ვის მოუვიდა პირველად ეს უცნაური აზრი თავში, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ხმა მაღლა კი გაყიდვაზე პირველმა მთავრობის გაზეთმა „როსსიამ" დაილაპარაკა. „როსსია" სასარგებლოდ სცნობდა პოლონეთის დათმობას გერმანიისთვის. იმის ნათქვამს მაგრად ჩაებღაუჭა მმართველ წრეებთან დაახლოვებული გაზეთი „ნოვოე ვრემია" და დათმობა გადააქცია გაყიდვად. ასე გასინჯეთ, „ნოვოე ვრემიამ" ფასიც კი დაადო პოლონეთს: რვა მილიარდ მანათად მივყიდოთ პოლონეთი გერმანიასაო.

პოლონეთში ათ მილიონ მცხოვრებზე გაცილებით მეტია, რადგან ამ მხარეში ათ მილიონამდე მარტო პოლონელი იქნება. პოლონეთს მრეწველობისა და ვაჭრობის მხრივ რუსეთში პირველი ადგილი უჭირავს. პოლონეთის შესასისხორცებლად რუსეთთან აუარებელი უმანკო სისხლია დაღვრილი, ურიცხვი ადამიანია გაუბედურებული, დიდძალი სიმდიდრეა დახარჯული და ყველა ამის მიუხედავად მმართველ წრეების აზრთა გამომხატველი გაზეთები ისე ლაპარაკობენ იმის გაყიდვაზე, თითქოს მთავრობის სამონოპოლიო მაგარ სასმელების დუქანში არაყის გაყიდვაზე ჩამოვარდნილიყოს სიტყვა.

ჩვენს მკითხველს ეცოდინება, რომ ებრაელების ერთმა ჯგუფმა განიზრახა თავის ერის ისტორიული სამშობლო, პალესტინა, ფულით შეესყიდა და ამ გვარად შეექმნა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი სახელმწიფოებრივ ორგანიზმისა, ტერიტორია. ამ განზრახვას დიდი უმრავლესობა განათლებულ ქვეყნების მცხოვრებლებისა ეჭვიანობით გაუმასპინძლდა. ებრაელების ერთს ნაწილს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ტერიტორიას სამშობლოსთვის ყიდვით შეჰქმნიან ებრაელები, მაგრამ ამ განზრახვის ფანატიკოსებისთვისაც კი ცხადია, რომ ეს უილაჯო გასაჭირის ნაკარნახევი აზრია. რა თქმა უნდა, თუ ტერიტორიის შეძენა ყიდვით ფანტასტიური განზრახვაა, არა ნაკლებ ფანტასტიურია ტერიტორიის გაყიდვა ფულზე. ამის მიუხედავად მთავრობის წრეებთან დაახლოვებული გაზეთები მაინც თავისუფლად და გულ-ხალვათათ ამბობენ, პოლონეთი რვა მილიარდ მანათად მივყიდოთ გერმანიასაო.

იყო დრო, როდესაც მეფეები თავიანთ სახელმწიფოებს ისე უცქეროდნენ, როგორც კერძო საკუთრებას. გაყიდვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩუქებით კი, ხშირად იცოდნენ მაშინდელმა მეფეებმა თავიანთ ტერიტორიის ერთის ნაწილის ჩუქება. მაშინდელის წესით ნაჩუქარი ტერიტორია და იმისი მცხოვრებლები ჩვეულებრივ ჩუქების შემდეგაც სამეფოს ნაწილად რჩებოდნენ და ამიტომ ამ წესს მოჰქონდა სოციალური უსწორმასწორობა და არა სახელმწიფოს პირდაპირი დასუსტება. ამ შავ-ბნელმა დრომ თქვენი ჭირი წაიღო. ეხლა სახელმწიფო უფლებრივი ერთეულია და არა ვისიმე კერძო საკუთრება. ეხლა სახელმწიფოს ბატონობა წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის განსაზღვრულს წესს. როგორ წარმოიშობა და რა ხაზზე ვითარდება ეს ორგანიზაცია—ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენის დროის ხალხთა თვითშეგნება მაინც მიუწდომელ მანძილით არის დაშორებული იმ დროს, როცა სახელმწიფოს გამგეებს თავისუფლად შეეძლოთ სამეფოს ნაწილები ეჩუქებინათ ვისთვისმე. ეხლანდელს ქვეშევრდომს ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეეძლოს ვისმე იმისი გაყიდვა სხვაზე. თეორიით, ეხლანდელი ქვეშევრდომი განსაზღვრულ უფლებათა და მოვალეობათა მატარებელი პიროვნებაა; ამ უფლებების და მოვალეობათა დასაბამად ითვლება სახელმწიფო და იმისი კანონები. სახელმწიფოსაგან თავის ტერიტორიის და მის მცხოვრებლების გაყიდვა მოასწავებს ადამიანთაგან ყოველგვარ უფლებების ახდას და მათს ჩაყენებას პირველყოფილ მდგომარეობაში. დასახლებულ ტერიტორიის გაყიდვა სახელმწიფოს მიერ ისე ეწინააღმდეგება თანამედროვე უფლებრივ შეგნებას, რომ სწორედ ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა ჩამოისხმოდეს უფლებრივს ფორმაში რუსეთის მიერ გერმანიაზე პოლონეთის გაყიდვა...

ეს კია, რომ უფლებაც და ყოველნაირი სხვა სიკეთეც მხოლოდ იმათთვის არსებობს, ვისაც ძალა აქვს ხელში; უძლურნი კი უფლებრივ სისტემის გერები არიან. მორალურად უძლური უნდა იყოს სახელმწიფო, რომ მან ჩვენს დროში თავის ტერიტორიის რომელიმე ნაწილი სხვაზე გაჰყიდოს, და ფიზიკურად უძლური უნდა იყოს ხალხი, რომ იგი სახელმწიფოს ისე გაეყიდინოს, როგორც რაიმე ნივთი.

მას შემდეგ რაც პოლონეთმა დამოუკიდებლობა დაჰკარგა, იგი 3 სახელმწიფოს შორისაა განაწილებული—რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის. პოლონელები ყველა ამ სახელმწიფოში შევიწროვებულნი არიან, მაგრამ მაინც მეტი უფლება და ძალა აქვთ ავსტრიასა და გერმანიაში, ვიდრე რუსეთში. რუსეთის ქვეშევრდომ პოლონელებისთვის ნამდვილად შესაძლოა არავითარს უბედურებას არც კი მოასწავებდეს მათი გადასვლა გერმანის ხელში. მარტო ის, რომ პოლონელები მაშინ გერმანიის მაღალ კულტურულ გავლენას დაექვემდებარებიან ეხლანდელ რუსეთის გავლენის ნაცვლად, მარტო ეს დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე იქნება მათთვის. მაგრამ ამ საქმეში საინტერესოა არა თვით პოლონელების წაგება და მოგება, არამედ ის, თუ რა შეხედულებათა პატრონნი არიან რუსეთის ეხლანდელი გამგე წრეები. იმის ნაცვლად, რომ მათ სახელმწიფოს გაღონიერებაზე და გაძლიერებაზე იზრუნონ, ოცნებობენ იმის ტერიტორიის გაყიდვაზე ნაწილ-ნაწილ... დღეს პოლონეთი, გაყიდვაზე ჩამოგდებული სიტყვა, ხვალ ბალტიის მხარეზე შეიძლება ჩამოაგდონ სიტყვა, ზეგ ციმბირზე, ურალზე, კასპიის მხარეზე და სხვა. თუ პოლონეთი შეიძლება გაიყიდოს, რატომ რუსეთის სხვა ნაწილები კი არ გაიყიდება?!

პოლონეთის გაყიდვის აზრი სწორედ იმათ ეკუთვნით, ვინც გაშმაგებული იცავს ცენტრალიზმის პრინციპებს და ღალატად აცხადებს ყოველგვარ ფიქრს ავტონომიებზე. გამოდის, რომ თვითმპყრობელობა—რუსეთის ღალატია, ტერიტორიის სრული გაფლანგვა კი—ერთგულებაა. ასეთია პოლიტიკური სიბრძნე „როსსიის" და „ნოვოე ვრემიასი" და ალბად ამავე ხასიათისაა ის ჭკუძირო სიბრძნე, რომელიც ამოძრავებს ჩვენს დროში რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოებრივ მექანიზმს.

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ზაკავკაზიეს“ კვირის ნომერში შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ:

გუშინ ჩვენ გადმოგვცეს ერთი ამბავი, რომელიც იმდენად დაუჯერებელია, რომ არა გვსურს დავიჯეროთ და მივმართავთ თვით „ტფილ. ლისტ.“-ის რედაქტორს ი. გ. ხაჩატუროვს განმარტებისათვის.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენთვის გადმოცემული ამბავი უკვე გავრცელდა ხალხში და საზოგადო ხასიათი მიიღო.

მაშ მივმართოთ თვით შეკითხვას:

1) მართალია თუ არა, რომ ამ რამდენიმე დღის წინად ერთ ნადიმზე, რომელსაც სომეხი ვაჭრები და, მათ შორის, ერთი ქართველი ვაჭარი დაესწრნენ და ერთმანეთს ქართულად ესაუბრებოდნენ, თამადად არჩეულმა ი. გ. ხაჩატუროვმა მიმართა დამსწრეთ შემდეგის სიტყვით: მე არა ვცნობ ამ ძალლურ ენას და მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვერ შევძელი იმისი შესწავლაო?

2) მართალია თუ არა, რომ მეორე სადღეგრძელო დაახლოვებით შემდეგის შინაარსისა იყო: „ღმერთმა ისე გაამრავლოს სომეხთა ერი, რომ ყველა სხვა ეროვნების ჩაყლაპვა შესძლოსო?“

3) მართალია თუ არა, რომ ამის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა ახალი სადღეგრძელო: „ღმერთმა აცოცხლოს ყველა სომხები. ვისურვოთ, რომ მთელი ვაჭრობა ჩვენ ხელში მოიქცეს და მოვება სხვას ჯიბეს არ ერგოსო“?

4) მართალია თუ არა, რომ თუმც გვიან, მაგრამ მაინც ანიშნეს თამადარედაქტორს, რომ დამსწრეთა შორის ჩინებულად სომხური ენის მცოდნე ერთი ქართველი ერია და მაშინ ბ-ნმა ხაჩატუროვმა უეცრად გამოიცვალა კილო და ყალბის აღტაცებით წამოიძახა: „გაუმარჯოს ძველის დროიდან ძმა-ხალხებს ქართველებსა და სომხებს“?

5) მართალია თუ არა ბოლოს შემდეგი: დაიწყო თუ არა თამადამ ძმა-ხალხებზე ლაპარაკი, ქართველმა ვაჭარმა სიტყვა შეაწყვეტინა და „კმარა, კმარაო!“ წამოიძახა... რაშიაც რამდენმამე დამსწრე სომეხმა მხარი დაუჭირა?

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
4 მაისი

### სპარსეთი

**თავრიზი.** რაც რუსის ჯარის ერთი როტა ქალაქში შევიდა, ცხოვრებამ ნორმალური მიმდინარეობა მიიღო. მცხოვრებნი იარაღს ჰყრიან. ფიდაებმა დანიშნულ დროს არ დაანგრიეს ბარიკადები და ამიტომ საპიორებმა დაანგრიეს. ბარიკადების დანგრევამ მშვიდობიანათ ჩაიარა. დაჭრილ ჯარისკაცის პეტსენკოს ასანაზღაურებლად ენჯუმენმა 5,000 მანეთამდის გადასცა რუსის ჯარს.

**თეირანი.** სახელმწიფო საბჭომ აირჩია 21 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელიც ახალ საარჩევნო კანონს შეიმუშავებს. მინისტრთა საბჭომ მოწოდება გამოსცა: ხალხს დამშვიდებას ურჩევს. იარაღის ტარება აკრძალულია. გადაწყვეტილია, რომ ხალხს ჩამოართვან იარაღი და სარბაზები დაითხოვონ. წესიერების დამრღვევთა დასასჯელათ შესდგა სამხედრო სასამართლოები. შაჰს განზრახული აქვს საგარაკოდ სალტან-აბადში წავიდეს.

**სტამბოლი.** გაზეთების სიტყვით, ოსმალეთი, თანახმად თავის თეირანელ ელჩის თხოვნისა, სპარსეთის ყურეში ორ სამხედრო გემსა ჰგზავნის.

**რუსის ჯარის ბანაკი** (თავრიზიდან). თავრიზში რუსის ჯარის ერთი როტის შესვლამ შესაფერი გავლენა იქონია მცხოვრებლებზე. მცხოვრებნი იარაღსა ჰყრიან. ჩამორთმეულ იარაღს ქალაქის თოფხანაში აწყობენ. ქუჩებში ველარც ერთ შეიარაღებულ ფიდაის ველარა ჰნახავთ. იარაღი მარტო პოლიციელებს-ღა აქვთ. ქალაქში სრული წესიერებაა. ბარიკადებს და სხვა სიმაგრეებს ანგრევენ. სპარსეთის ორკესტრი ქუჩაში რუსეთის ნაციონალურ ჰიმნს უკრავდა. მარანდიდან ბრუნდება რუსის ჯარის რაზმი, რადგან იქ მშვიდობიანობაა. მარანდის გუბერნატორი შუჯა-ნიზამი სადღაც დაიმალა. წესიერათ სწარმოებს თავრიზსა და ჯულფას შუა მიმოსვლა. დადიან ქარავნები. მექარავნეები მშვიდობიანობის დამყარებისთვის რუსის ჯარს მადლობა უცხადებენ.

გენერალმა სნარსკიმ მადლობა გადაუხადა კავკასიის მსროლელთა ბატალიონთა მესამე როტას, რომელმაც 60 ვერსი 18 საათში გაიარა. ეს როტა გაიგზავნა მარანდაში. როტას უფროსობდა კაპიტანი ტელეშოვი. მადლობა გამოუცხადა აგრეთვე კაპიტან ტარალოს როტას, რომელიც სალდათების დამჭრელების დასაჭერათ გაიგზავნა. ამ როტამ 36 საათის განმავლობაში გაიარა 60 ვერსი და მხოლოდ 2 საათი დაისვენა.

**ჯულფა.** მაკოდან იუწყებიან: ორმა ნათესავმა განიზრახა იკბალეს-სალტანეს მაკოს ხანის იკბალეს-სალტანეს მოწამვლა, მაგრამ ამაოდ. ნათესავსა და იკბალეს-სალტანეს ამ ორ შორის შინაური ბრძოლაა. იკბალეს-სალტანე სახლიდან გამოდის. ავაჯუს-პარეინის ოლქის მცხოვრებნი იკბალეს-სალტანეს წინააღმდეგ მიდიან. ეს უკანასკნელნი საერთო მოძრაობას შეუდგნენ.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** როგორც ანატოლიიდან და ალბანიიდან იტყობინებიან, ამ დღეებში მშვიდობიანობაა. მშვიდობიანობის დამყარებას ხელი შეუწყო რეაქციონერთა მეთაურების დაპატიმრებამ, არზრუმის და დიარბეკირის ვალების და აგრეთვე ჯარის უფროსის გადაყენებამ.

უცხოეთის ბანკებმა განაცხადეს, სანამ სასამართლო არ გადასწყვეტს, ოსმალეთს ვერ გადავცემთ აბდულ-ჰამიდის ფულსაო. ამიტომ ახალგაზრდა ოსმალნი შეეცდებიან, აბდულ-ჰამიდმა ფული თავის ნებით გადასცეს ოსმალეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სამართალში მისცემენ. მასალებს უკვე აგროვებენ, აბდულ-ჰამიდს. სახელმწიფო ქონების მითვისებას აბრალებენ.

**სტამბოლი.** რაკან ადანასა და ალეპოში მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ავსტრო-ჰუნგრეთის კრეისერმა „ცენტმა“ ბრძანება მიიღო უკან დაბრუნდეს.

საფრანგეთის სტამბოლელი ელჩი სამსახურიდან გადადგა. მისი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა.

ამ დღეებში დარდანელის სიმაგრეებში დააპატიმრეს 60 რეაქციონერი არტილერისტი სალდათი. მათ ყუმბარები და რევოლვერები უპოვნეს.

დეპუტატთა პალატა. პალატამ განიხილა ორი თვის ბიუჯეტი. სულთანის ჯამაგირად დაუნიშნეს თვეში 20,000 ოსმალური გირვანქა. დეპუტატთა პალატის და სენატის თავმჯდომარეებს ექვსას-ექვსასი გირვანქა, მინისტრები ილებდნენ 250 გირვანქას, მაგრამ მინისტრებმა განაცხადეს, რადგან ოსმალეთი ფინანსიურ კრიზის განიცდის, ჯამაგირს დავიკლებთო. სენატისა და დეპუტატთა პალატის მდივნებს თვეში დაენიშნათ 30 გირვანქა თითოს.

**სალონიკი.** ალბანელებმა, აბდულ ჰამიდის მომხრეებმა, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს დიდი ფული მოსთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ახალგაზრდა ოსმალებმა შეუთვალეს, დაწყნარდით, თორემ ფულის მაგიერ ტყვიას გამოგიგზავნითო. იპეკში უკვე მოვიდა ჯევად-ფაშა. ჯევად-ფაშას მოჰყვა 8 ბატალიონი ჯარი და ძლიერი არტილერია. ჯევად-ფაშამ ალბანელთა რამდენიმე სოფელი დაანგრია.

სალონიკში მოიყვანეს უსკიუბის გარნიზონის ერთი გენერალი, 3 შტაბ-ოფიცერი და 20 სალდათი. მათ აბრალებენ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებას. უსკიუბის სანჯაყის სხვა ქალაქების გარნიზონებშიაც დააპატიმრეს შეთქმულები. ოფიცრების და სალდათების დატუსაღებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მცხოვრებლებზე. მცხოვრებნი ახალგაზრდა ოსმალოებზე უკმაყოფილებას აცხადებენ.

საბოლოოდ გადასწყდა, რომ აბდულ-ჰამიდს ან სტამბოლში გადაიყვანენ, ან არქიპელაგის ერთ კუნძულზე დაბ ნავებენ.

**სტამბოლი.** აბდულ-ჰამიდის შვილი ბურხან-ედინი, რომელიც დღემდე იმალებოდა თავის დის სასახლეში ბოსფორზე, 2 მაისს სამხედრო სამინისტროში მიიყვანეს, მაგრამ მერე გაანთავისუფლეს.

### საზღვარ-გარედ

**ჰელსპეიმი** (ზემო ელზასი). 30 აპრილს ჩქარი მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს, გადასცდა რელსებს და დაიწვა. მოკლულია 3 მემანქანე, დაიჭრა 12 მგზავრი და 3 კონდუქტორი. ქარის გამო ჩქარი მატარებელი სრულებით დაიწვა, საქონლის მატარებლის კი მხოლოდ $^1/_5$ გადარჩა. სამკურნალო დახმარება მალე აღმოუჩინეს დაშავებულთ.

**პარიზი.** ბევრმა გაფიცულმა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელემ დაიწყო მუშაობა. პროვინციაში გაფიცვა თითქმის არ არის.

საქმის მცოდნე წრეები ნამდვილ ამბავად სთვლიან სტამბოლიდან გადმოცემულ ხმას, რომ საფრანგეთის ელჩი კონსტანი მალე სამსახურიდან გადადგება. იმის მოადგილეებად ასახელებენ გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსს ლუისს, პეტერბურგში ელჩად ნამყოფს მომპარს და მადრიდის ელჩს რევუალს.

**ბუდაპეშტი.** პესტერს-ლოიდის ცნობით, ფრანც იოსებმა მაინდო ვეკერლეს მოემზადოს კაბინეტის შესადგენად.

**ვენა.** იმპერატორებმა ფრანც-იოსებმა და ვილჰელმმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს იტალიის მეფეს: „ჩვენი შეხვედრა ახალ შემთხვევას გვაძლევს სალამი უძღვნათ ჩვენ უავგუსტოეს მოკავშირეს და მეგობარს და ჩვენი გულმხურვალი მეგობრული გრძნობა გამოუცხადოთ“. იტალიის მეფემ შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „დიდად გმადლობთ თქვენ უდიდებულესობას, რომ იმპერატორთან, ჩვენ მოკავშირესთან და მეგობართან ერთად, თქვენი უცვლელი მეგობრობის გრძნობები გამომიცხადეთ. ეს მეგობრობა ძვირფასია ჩემთვის და ჩემ გულში წრფელ თანაგრძნობას ჰპოულობს.

**ტოკიო.** მთავრობამ სამართალში მისცა 20 დეპუტატი, რომელთაც ჰბრალდებათ შაქრის ტრესტისაგან ქრთამის აღება ამ ტრესტის სასარგებლოდ კანონმდებლობის მოწყობისათვის. უმაღლეს პალატის წევრები საქმეში გარეულნი არ არიან. დატუსაღებულია შაქრის ტრესტის რამდენიმე დირექტორი, რომელთაც რამდენიმე მილიონის გაფლანგვა ჰბრალდებათ. ხაზინის ზარალი შევსებულ იქნება. მოქრთამეამ საშფოთა საქმის კაცთა წრეები. მთავრობის ენერგიულმა მოქმედებამ დაამშვიდა ისინი.

**პარიზი.** ოფიციალური ცნობებით პარიზში გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 26,406 ფოსტის მოხელეთაგან 1917-მა. 1 მაისს მუშაობას დაუბრუნდა კიდევ 338 მოხელე. პროვინციაშიაც საქმე უკედ მიდის.

**კანზას-სიტი.** კანზასის, მისურის და ოკლაჰომას შტატებში გრიგალის დროს მოკლულ იქმნა 12 და დაიჭრა 100 კაცი.

**მაინის ფრანკფურტი.** „ფრანკ. ცეიტ.“-ის ცნობებმ სტამბოლიდან, რომ აბდულ-ჰამიდის შვილი პრინცი მურხან-ედინი დატუსაღებულია სამხედრო სასამართლოს განკარგულებით და სამხედრო სამინისტროში იმყოფება.

**სტრასბურგი.** ჰელსჰეიმში მატარებლების შეტაკების გამო ზარალი 2 მილიონ მარკას უდრის. ხმების 38 ფოსტის ტომრებიდან მხოლოდ 5 გადაარჩინესო. დაიწვა ბევრი ძვირფასი ნივთი აგრეთვე ერთი ტომარა 6.000 მარკით. საქონლის მატარებლიდან ფოსტის მოხელემ გადააგდო საქონლის მატარებლიდან ფოსტა და გადაარჩინა.

**პარიზი.** შენობებზე მომუშავეთა კავშირმა დაადგინა ფოსტის მოხელეთათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად საერთო გაფიცვა მოახდინოს. გაფიცვის ვადის დანიშვნაც კავშირის კომიტეტს მიენდო. 2 მაისს საღამოს ისევ მოხდა გაფიცულ ფოსტის მოხელეთა კრება. შინის მუშათა კავშირის მდივანმა განაცხადა, ჩვენი კავშირი გაფიცულებს ზნეობრივ და ქონებრივ დახმარებას აღმოუჩენსო. კრებამ მიიღო დადგენილება, განაგრძოს გაფიცვა ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

**პარიზი.** კაბინეტის წევრები შეთანხმდნენ მოხელეთა კავშირების უფლებათა შესახებ. კლემანსო, ვივიანი და ბრიანი 2 მაისს შეიმუშავებენ შესაფერ კანონ-პროექტის ტექსტს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ დაამთავრა საინტენდანტოს მთავარ სამართველოს მდივნის, კაპიტან მიშკინის და იმის თანაშემწის შერემეტიევსკის საქმის განხილვა. სასამართლომ მიშკინს და შერემეტიევსკის მიუსაჯა ყოველივე უფლების, აზნაურობის ჩინების ჩამორთმევა და ტუსაღთა განყოფილებაში გაგზავნა: მიშკინს—3 წლით, ხოლო შერემეტიევსკის—1 წლით. ამათ ჰბრალდებოდათ ძალით ფულის წართმევა.

**ხარკოვი.** აღმოაჩინეს ყალბ ფულის მჭრელთა ორგანიზაცია. დააპატიმრეს 2 კაცი.

**ხარკოვი.** ნოვო-ნიკოლაევკაში, რკინის გზაზე, აღმოაჩინეს ყალბი ბილეთების დამზადებელნი.

**მაგილევი.** ღამე დაბა მიკულინაში, ორშანის მაზრაში, დაიწვა 40 სახლზე მეტი.

**ანანიევი.** კამენი მოსტზე მომხდარი უბედურება გამოუ ვევია რელსების აყრას. დაიმსხვრა ორთქმავალი და 4 ვაგონი. მოკვდა ერთი კონდუქტორი, მძიმეთ დაშავდა კონდუქტორი და ერთი მგზავრი, მსუბუქად—15 კაცი. ამბობენ, რელსები დათხოვნილმა მუშებმა აჰყარესო.

**პოლტავა.** ლუბენის ქალაქის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ლუბენში დაარსდეს საგრონომიო ინსტიტუტი. ინსტიტუტს დაერქმევა პეტრე დიდის სახელი. ქალაქის საბჭომ ინსტიტუტისთვის 10,000 მანეთი და 20 დღიური მიწა გადასდო.

**პეტერბურგი.** „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორი კოროლენკო ადმინისტრაციამ 1,000 მანეთით დააჯარიმა. მიზეზი—აპრილის ნომერში „თანამედროვე საკითხების“ დასტამბვაა.

ივნისსა და ივლისში პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის წიგნების გამომცემელთა და გამყიდველთა კრება. კრების ინიციატივა ეკუთვნის რუსულ წიგნების გამომცემელ და გამყიდველ საზოგადოების გამგეობას. ადმინისტრაციამ უკვე კრების დართო ნება.

დღეს ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის 8 გუბერნიის დეპუტაცია. დეპუტაციაში იყვნენ: სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატი, ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე-

# ფელეტონი

## ვინ არის?

ამაყი გულით, ამაყი სულით,
დაბადებული,—ბავშვად ბერდება;
და სანაქებო ამ ქვეყნიური
ბევრი რამ იმას არ ეხერხება.
ცრემლი ქვეყნისა სულის საზრდოდ აქვს,
იგივე ჭირად, ისრად ხუჭი
გულსა, რომელსაც ცად ტრფიალება
გარს ნისლადა აქვს შემოხვეული.
უძლები არის მისი ბუნება
ქვეყნის სიკეთით, კარგა ყოფნითა:
იმიტომ ტირის, იმიტომ ჩივის—
მოშხამული აქვს გული ცოფითა.
გული სადაცა ია-ვარდები
ჰყვავიან, იქვე ქვეყნის ვარამი
ამოაყივლებს: „ჩემზე სიცოცხლე,
უსარგებლო ვარ, არის არამი!“
დიდებულთ წინა თავს მაღლა იღებს!
ქედს ვერ მოიხრის ვერა გზით, ვერა.
უჭირს? დაქუცი არ ეხერხება,
ვერ დაუჩოქებს ვერავის, ვერა!
დამდაბლებულთან თავს ის დაბლა ჰხრის,
უყვარს იმათთან ყოფნა და მღერა;
მონური გრძნობა თუ შეეპარა,
მყის დაუდგება გულისა ძგერა.
დაეკარგება მადლი ოცნებას:
ვედარ გამოსცემს გულის-თქმა სხივსა,
უნდა ინანოს და იგაგლახოს,
მაშინ მკვდარი წევს სამარეს ცივსა...
ერთის მონაა, მხოლოდ ერთისა,
რაც იმის სულში ჩახლართულია,
რისთვისაც ცოცხლობს, რისთვისაც
კვდება,
რისთვისაც დამწვარ-დადაგულია:
მთანი მწვანობენ, წყალნი ღელავენ,
გალობს ბულბული, შაშვი, შროშანი...
მეხლბი ელავენ მამულის მცველად,
გრძნობათ ღელვაა მატიოსანი...
„არ დაგანებებ ჩემსა სატრფოს!“
ვაჟკაცი ჰყვის აბჯაროსანი...
ერთად აწყვიან დახოცილები —
ვაჟკაცი ვინმე, ქალი თმოსანი.
სატრფო სატრფოსა თავს ანაცვალებს...
ია თრთის ტყეში ნაზი, სოსანი.
როს ამას ჰნახავს ბედნიერია.
ვინ არის ესა?—არის მგოსანი!

**ვაჟა-ფშაველა.**

## ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში
5*)

არა მარტო მშვენიერს ბუნებაში შეაქვს ესთეტიურს მეს გრძნობა, ნების ყოფა და ფსიხიური მოძრაობა: უაღრესი და უკეთილშობილესი გამოხატულება ამ მოვლენისა ყოველს შემთხვევაში ხელოვნებაა. რაფაელის „სიქსტინის მადონნაზე“ (დრეზდენის მუზეუმი) ღვთის მშობლის სახეში და მთელი სხეულის მდგომარეობაში მე ვხედავ რაღაც ღვთაებრივ, არა ამ ქვეყნიურს ლტოლვას, პაწია ქრისტეს თვალებში, რომელნიც თითქო თავიანთ მომავალ ბედის დიდებულებას და ტრაგიზმს ჰხედავენ—სიდიადეს და საშინელ აუცილებლობის წინათგრძნობას, მარცხნივ მდგომარე ქალწულში—ბედნიერებას, მოწიწებას და პატივისცემას, ხოლო მარჯვნივ მდგომარე წმინდანის ხელებისა და თავის მოძრაობაში—უზომო ნაზ სიყვარულს ქრისტესა და მის დედისადმი; ძირს, ღრუბლებზე იდაყვ დაყრდნობილ ანგელოზების სახეზედ კი ბავშური უზრუნველობა გამოიხატება, შეერთებული მათის სერიოზულ მდგომარეობის შეგნებასთან. ხოლო მთელი მხატვრობა საერთოდ იწვევს რაღაც ძნელად გამოსათქმელს სულიერს წყობილებას, რომელშიაც სიდიადე და ზეციური ლტოლვა შესამჩნევად სჭარბობს.

სულ სხვაა, ამის თითქმის წინააღმდეგი ის სულიერი ცხოვრება, რომელიც გამოკრთის კორრეჯიოს „იუპიტერი და იოსა“ (ვენის სამხატვრო გალლერეია), ლეონარდო-და-ვინჩის ან მიქელ ანჯელოს „ლედა დაგედისა“ და ა. ბიოკლინის „ცხონებულთა სავანესა“ ან „ტალღების თამაშობიდან“ (მიუნხენის ახალი პინაკოტეკი): ადამიანთა და ზღაპრულ არსებათა მშვენიერი, ჯანსაღი, სრულიად გატიტვლებული სხეულნი, გახვეულნი ბაკხანტიურ ბურუსში, დემონისებრ ვნებათა ღელვა, თავდავიწყება თავბრუ დამხვევ ბედნიერებაში, გიჟური, თითქმის ველური სიხარული და აღტაცება თავის ცხოველურ არსებობის გამო! ელემენტარული, მაგრამ ძლიერ გრძნობათა და ლტოლვათა ეს მოძრაობა თითქო ნათლად იხედება იუპიტერის ხელების მოხვევიდან, იოს მტანჯველის სიამოვნებით მიბნედილ თვალებიდან და ნაზ სხეულიდან, საამო წინათგრძნობით აღგზნებულ გედის მოღერილ კისრიდან და მოსახვევად გაშლილ ფრთებიდან, ლედას ტკბილ ლოდინით აღსავსე თვალებიდან და ზღვის ტალღებში ლაღად მცურავ „ცხონებულთა“ ამღგზნებ თამაშობიდან. ადამიანის ნათესაობა ცხოველთან, გრძნობა კოსმიურ ერთიანობისა, კულტურის და სარწმუნოების მიერ აგებულ ზღუდეების გადათელვა, სადღესასწაულო დაბრუნება ადამიანისა პირველ-ყოფილ, მოუშინაურებელ ბუნების წიაღში არსად არ გამოთქმულა ასეთის სიძლიერით, როგორც აქ და, საზოგადოდ, ვენეციის სკოლის, შემდეგ კი განსაკუთრებით ტიტველ ტანის შექსპირის, რუბენსის, სურათებში.

რომელ მხატვრულს ნაწარმოებსაც უნდა მივმართოთ, ყველგან ადამიანის სულს და გრძნობებს შევხვდებით: დრამატიულს და ტრაგიკულს —როგორც მიქელ ანჯელოს, რემბრანდტის, დავიდის, დელაკრუასა ან ფეიერბახის სურათებში, უზომო სინაზით აღსავსეს—როგორც ტიციანის, ლეონარდო დავინჩის, რაფაელის, კორრეჯიოს და მურილლოს ქმნილებებში, ან მდიდარს ლირისმითა და სულიერ მოძრაობით ისეთის მრავალ-ფერადობით, რომ საერთო შთაბეჭდილების აღწერა თითქმის შეუძლებელია—როგორც განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის ლანდშაფტის მხატვრობაში, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებად ჩემის აზრით ფრანგი რეალისტები და რომანტიკოსები უნდა ჩაითვალონ. როგორც ბუნებას, ისე ხელოვნურს ქმნილებას ადამიანის მიერ შეტანილი გრძნობა აცხოველებს და სამუდამოდ მკვდარია ის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც ადამიანის სული არა სცხოვრობს.

თანამედროვე ადამიანის სულიერი ობლობა, მისი მუდმივი ძიება, ლტოლვა გამოურკვეველ მიზნისკენ, უკმაყოფილება თავის თავით და თავის ბედით, გოდება დაკარგულ ბედნიერებისა, მტკიცე რწმენისა და დოგმატებისა, უსაზღვრობა ნებისყოფისა და მის მუდამ მტანჯველ წყურვილისა, სინარნარე იდუმალ, მიუწდომელ, თითქმის შეუგნებელ მოძრაობათა არსად არ გამოხატულა ისე ნათლად და აშკარად როგორც კლასიკურს და, განსაკუთრებით, რომანტიულს მუსიკაში: თითქო ბერლიოზის, ლისტისა, შოპენის და ჩაიკოვსკის რომანტიული სული იმალებოდეს მათის მუსიკის ტონებში! თითქო ხმები ლაღად ლხინობენ, უმანკოდ და უზრუნველად ელქობენ, უმწიკვლოდ მხიარულობენ (მაგალითად, სკარლატტის პასტორალში ან მოცარტის Gmoll სიმფონიაში), ან სევდიანად და მწუხარედ მიმდინარეობენ, ღელავენ, ძლიერის, მაგრამ გამოურკვეველის გულისთქმით (მაგ., ბეეტჰოვენისა სონატები და კონცერტები), ან თვალთცრემლიანნი მოგვითხრობენ კეთილშობილ სულის გამოუთქმელ კაეშანზე, სამშობლოს დიდების დაკარგვაზე, აჯანყებულ სულის უსწორო ბრძოლაზე (შოპენის ნოქტიურნები და ეტიუდები), ან იტანჯებიან და სტკბებიან თავიანთივე ტანჯვითა და მწუხარებით (ჩაიკოვსკის პათეტიური სიმფონია), ან მოსთქვამენ და სტირიან გამოუთქმელ უბედურების გამო, შეძრწუნებულნი დიადის გმირისა ან ძვირფას პიროვნების დაკარგვით (ბეეტჰოვენი, „საგმირო სიმფონია“ ან შოპენის სონატის (Bmoll „მიცვალებულთა მარში“), ან იბრძვიან, შფოთავენ და დრტვინვენ, განიცდიან ტრაგიკულ ბედის აუცილებლობას და ილუპებიან დიდებულ ბრძოლაში (ბეეტჰოვენი ბევრს ადგილას, ლისტი —„მიცვალებულთა ფერხული“ და „Adur კონცერტი“ ბერლიოზი—„ფანტასტიური სიმფონია“, ბრამსი—„ტრაგიკული უვერტიურა“) შემდეგ განსაცვიფრებელის კომიზმით და ირონიით მოგვითხრობენ დიდს ქარიშხალზე, რომელიც პატარა მიზეზმა გამოიწვია (ბეეტჰოვენი „ვარიაციები დაკარგულს გროშზე“) ან და ნელი, უსიტყვო შეუმჩნეველის წამების მშვენიერებაზე (შუმანის ზოგიერთი „ფანტაზია“ და „რომანსი“); მომაკვდავის ადამიანის ლტოლვაზე უკვდავებისა და მარადისობისკენ და სარწმუნოებრივ ან კოსმიურ გრძნობების უძირო სიღრმეზე (ბახის, ჰენდელის, მოცარტის ან ვერდის ორატორიუმი და რეკვიემები). ხმები ადიან უმაღლეს მწვერვალებზე, შემდეგ ნელ-ნელა ხელიხელ ჩაკიდებულნი ეშვებიან ძირს, ან მოჰქრიან თავბრუდამხვევის სიმალით, იხლართებიან ერთმანეთში ან განმარტოვებით დახტიან, შემდეგ იკარგებიან თვალ-უწვდენელს სიღრმეში და გრგვინვენ ქვესკნელის ძალთა მსგავსად...

6.

თუმცა ძნელია სიტყვებით ხელოვნებისა და მშვენიერ ბუნების მრავალ-მხრივობის გადმოცემა, მაგრამ ნათქვამიდანაც აშკარად სჩანს თუ რაში მდგომარეობს ის მოვლენა, რომელსაც მე ზევით ესთეტიური სულის მისტერია ვუწოდე. ჩვენ დავინახეთ, რომ გრძნობა, ადამიანის სუბიექტიური მდგომარეობა, იმის მეს უახლოებელესი, განუშორებელი

*) იხ. „დროება“, N 97.

ნი, მემამულენი და სხვანი. დეპუტაცია ხელმწიფეს „ურა!“ ძახილით შეხვდა. ამის შემდეგ ხელმწიფეს მიესალმა ვილნოს გუბერნიის წარმომადგენელი მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანდრი. დეპუტაციას, გამოკითხვის შემდეგ საუზმე გაუმართეს.

ამა წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში და 1910 წლის იანვრის დასაწყისში მოხდება სრულიად რუსეთის კრება, რომელიც შეიმუშავებს ალკოჰოლიზმთან საბრძოლველ ზომებს.

**ეკატერინოსლავი.** სადგურ როკოვტიასზე, მატარებლის მანევრების დროს, ორთქლმავალს მოეხსნა 17 დატვირთული ვაგონი. ვაგონები სადგურ ვეჩერნი კუტისკენ ვაქანდნენ და ამ სადგურის მახლობლად დაეჯახნენ საქონლის მატარებელს. დაიმტვრა 3 და დაზიანდა 4 ვაგონი. დაშავდა 2 მაშინისტი, მაშინისტის ორი თანაშემწე, 5 კანდუქტორი და ორი მოსამსახურე.

**კრონშტადტი.** სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა, მიჩმან დენისოვს 1 წლით და პორუჩიკ ჟურავლევს 3½ წლით ტუსაღთა განყოფილება. ამათ ჰბრალდებოდათ დატუსაღებულ მატროსების ფულის გაფლანგვა. დენისოვმა გაფლანგა 5518 მანეთი, ჟურავლევმა 1320 მანეთი.

**პეტერბურგი.** მოხდა საპარლამენტოშორისო კავშირის რუსთა ჯგუფის დამფუძნებელი კრება. ჯგუფში ჩაეწერა სახელმწიფო სათათბიროს 120 დეპუტატი. ჯგუფში არ ჩაეწერნენ სოციალ-დემოკრატები და უკიდურესი მემარჯვენენი. ჯგუფის თავმჯდომარედ აირჩიეს ეფრემოვი, იმის ამხანაგებად მილიუკოვი, გლებოვი და ჩიხაჩევი, მდივნად ზვეგინცევი. აირჩიეს ბიურო, რომელიც შეიმუშავებს მოქმედების გეგმას.

სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ და დეპუტატთა უხუცესების საბჭოს შეერთებულმა კრებამ დაადგინა, სესიის გათავებამდის შემდეგი კანონ-პროექტები განიხილოს: სტაროობრიადცების თემებისა, ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლის, სავაჭრო დაწესებულებაში მომუშავეთა ნორმალურ დასვენების უზრუნველყოფის, საერო განათლების მინისტრის საამშენებლო ფონდის შესახებ. როგორც ამბობენ, სათათბიროს საზაფხულოდ პირველ ივნისს დაითხოვენ.

**ლიუბლინი.** დილის 10 საათზე მძიმედ დასჭრეს პოლიცმეისტერი კაპიტანი ულისი და ორი დარაჯი. შეიპყრეს ორი კაცი.

**რიგა.** ღამე ქალაქის შუაგულში აღმოაჩინეს არალეგალური ლიტერატურა, საბეჭდავ მაშინის ნაწილებით, პატრონები, ფისტონები და 5 გირვანქა უკვამლო თოფის წამალი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**სეირნობა წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.** კვირას, 3 მაისს, მუშტაიდში წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობას დიდძალი ხალხი მოაწყდა. შემოვიდა 2200 მანეთამდე.

**მთელი ოჯახის ამოწყვეტა.** როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრაში, სოფელ ძევერაში 3 მაისს საღამოთი ვიღაცებს ამოუწყვეტიათ აზნაურ სანო ჯავახიშვილის მთელი ოჯახი. მოუკლავთ თვითონ სანო ჯავახიშვილი, მისი დედა, ცოლი და ქალი, აგრეთვე მოსამსახურე გლეხი.

**ეპისკოპოსის გაცარცვა.** 3 მაისს, დილის 11 საათზე ვიღაცები სახლში შეუვარდნენ ალავერდის ეპისკოპოსს დავითს. ეპისკოპოსი ამ დროს სიონის ტაძარში ყოფილა წირვაზე. მისულა ოთხი კაცი და მორჩილის ელეფთერ სახვაძესათვის უკითხავთ, სად არის ეპისკოპოსიო. პასუხის შემდეგ ავაზაკები ასულან სახლში, მორჩილი შეუთრევიათ სამზარეულოში, ერთი დასდგომია იარაღით ხელში, ხოლო დანარჩენნი შესდგომიან ჩხრეკას. გამოუმტვრევიათ საწერ მაგიდის ყუთები, გამოუნგრევიათ შკაფები და მაგიდები. უცნობებს 30 მანეთი უნახავთ და წაუღიათ, ხოლო ნივთებისთვის ხელი არ უხლიათ. წასვლის დროს უცნობები დამუქრებიან სახვაძეს, ხმა არ ამოიღო თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო. როცა უცნობნი მიმალულან, მორჩილი პოლიციაში გაქცეულა და შეუტყობინებია ყველაფერი. ამავე დღეს ეპისკოპოს მისვლია მუქარის ბარათი. უცნობები სწერენ, რიგი თქვენზე მოდგა და უნდა უსათუოდ 400 მან. მოგვიმზადოთ, თორემ ვერ გადაგვირჩებიო.

**მკვლელი.** 3 მაისს მახათის ქუჩაზე მოვაჭრეს არუთინ შაინოვს პოლიციისთვის განუცხადებია, ვიღაცეებს ჩემი დუქნის მახლობლად მოუკლავთ ჩემი ნაცნობი ნერსეს ღარიბოვიო. პოლიციის გამოძიებით გამორკვეულა, რომ ღარიბოვი მოუკლავთ შაინოვის დუქნის მეორე ოთახში, შემდეგ გვამი გაუტანიათ დუქნიდან და მახლობლად დაუგდიათ. ამ მკვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ თურმე მედუქნე შაინოვი, მისი ამხანაგი გრიგოლ მიქელაძე და მეარღნე ვანო ნაილოვი, რომელნიც თავიანთ საყვარლებით პელაგია ტურაშვილისა და კესა სიმონიანცთან ერთად იმ ოთახში სცხოვრობდნენ, სადაც მკვლელობა ჩაიდინეს. ესენი ყველანი დააპატიმრეს და გამოძიებას შეუდგნენ. გამოკითხვის დროს შაინოვს და მიქელაძეს განუცხადებიათ, მკვლელებთან ერთად დუქანში ეტლით მოვიდა სამი უცნობი. ღვინის სმის დროს ჩხუბი მოუვიდათ და ამ დროს ღარიბოვიც მოჰკლეს; რადგან პასუხისგების შეეშინდა, ღარიბოვის გვამი დუქნიდან გავიტანეთო.

**სეტყვა თელავში.** თელავიდან გვწერენ: „1 მაისს საღამოს საათის რვიდან დაიწყო ძალიან დიდი სეტყვა, რომელმაც ორ საათზე მეტხანს გასტანა. სეტყვამ ძალიან დიდი ზარალი მიაყენა თელაველებს: ბოსტნეულობა და ხეხილი მთლად გაანადგურა, ფოთოლი აღარას შეანარჩუნა, ხეხილი ცარიელ ტოტებზე-ღა დააყენა, გეგონებათ ზამთარიაო. დალეწა ფანჯრების მინები, კრამიტები. სეტყვა კაკლის ოდენა მოდიოდა. დაახრჩო ბევრი შინაური წვრილ-ფეხა პირუტყვი. ბევრგან გაიმსო სეტყვით სარდაფები. ზოგგან სახლის ჭერიც ჩამოინგრა. სეტყვამ სოფ. კურდღელაურში და შალაურში მთლად გაანადგურა ვენახები და მცენარეულობა. სხვა სოფლებში, როგორც გავიგეთ, სეტყვა არა ყოფილა.

**„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ აპრილის წიგნი (№ 4).

**ახალი წიგნი.** მოგვივიდა ზ. ჭ—ს ახალი წიგნი „ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე“. წიგნში მოთხრობილია ქართული სტამბის დაარსების ამბავი.

**ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების წლის თავი.** ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად თანხის შემკრებ კომიტეტს კვირას, 3 მაისს, სხდომა ჰქონდა. კომიტეტმა განიხილა ის, თუ როგორ აღნიშნოს განსვენებულის გარდაცვალების 15 წლის თავი 17 მაისს. კომიტეტმა დაადგინა, 17 მაისს გადაიხადოს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, გამოსცეს ნინოშვილის თხზულებანი „გოგია უიშვილი“ და „პალიასტომის ტბა“ და გაავრცელონ ხალხში. გარდა ამისა, კომიტეტმა უნდა ლექცია მოაწყოს სხვა და სხვა ადგილას.

**კავკასიის საგენერალ-გუბერნატორო.** როგორც ვწერდით, რუსეთის გაზეთების სიტყვით, „განზრახულია, რომ კავკასიაში ნამესტნიკობა გააუქმონ და გენერალ-გუბერნატორობა დააწესონ. „რეჩის“ სიტყვით, კავკასიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნება თურქესტანის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი მიშჩენკო.

**ნამესტნიკის თანაშემწენი.** „რუსკ. ზნამია“ სწერს, ტყუილია ის ხმები, ვითომ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე მიცკევიჩი სამსახურს თავს ანებებდეს; სამსახურს თავს მარტო გენერალი შატილოვი ანებებსო.

**ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.** „ჩვენი აზრის“ სიტყვით, ქუთაისის გენ.-გუბერნატორი სლავოჩინსკი ორი თვით საზღვარ-გარედ მიდის. იმის თანამდებობას შეასრულებს ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი.

**კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში მოხდება მორიგი კრება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობას საზოგადოებისა.

**დადგენილება ექიმების შესახებ.** სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს პრინციპიალურად გადუწყვეტია, ქალაქის ექიმები გაანთავისუფლოს სასანიტარო საქმეებისგან და ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის თვალყურის სადევნებლად შეადგინოს ექიმების ახალი შტატი.

**დაუმტკიცებელი ბრალდება.** ამ რამდენიმე ხნის წინად კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაარჩია სათავად-აზნაურო სკოლის მეეზოვის გვეთაძის საქმე. გვეთაძეს ჰბრალდებოდა სათავად-აზნაურო სკოლაში უცნობების შეშვება, რომელთაც ყოფილ პოლიცმეისტერის მარტინოვს ყუმბარა ესროლეს. სამხედრო სასამართლომ გვეთაძე გაამართლა. პროკურორმა საქმე გადაიტანა მთავარ სამხედრო სასამართლოში. როგორც „ზაკავ.“ გაუგია, მთავარ სამხედრო სასამართლოს უყურადღებოდ დაუტოვებია პროკურორის პროტესტი.

**გაზეთი.** ნიკ. ხევსურიანმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს გამოსცეს ქართულად ყოველ კვირეული ჟურნალი „დასაწყისი“.

**არტისტი სვიმონოვი.** როგორც „ჩ. აზრს“ გაუგია, მსახიობი სვიმონ სვიმონიძე ძლიერ ავად არის თურმე.

**სხვა-და-სხვა ამბები.** 1 მაისს სიღნაღის მაზრიდან მომავალი გლეხები როსტომ მახარაშვილი და ნიკოლოზ თუდანიძე ნავთლუღის მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგზე შეჩერებულან და საქონელი საძოვრად გაუშვიათ. ამ დროს მათთან მისულა რკინის გზის დარაჯი ივანე ავანაშვილი და მოუთხოვნია ფული მოსაძოვრისთვის. ავანაშვილი გლეხებს დაჰმუქრებია—თუ ფულს არ მომცემთ, მოგკლავთო, და თან თოფი დაუმიზნებია, გლეხებს უთქვამთ, ფული მეორე დარაჯს მივეცითო. ავანაშვილს თოფის გასროლა განუზრახავს, მაგრამ თოფი არ გავარდნილა. ავანაშვილი ამ თავხედობისთვის დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

3 მაისს მეჟევის ქუჩაზე ნიკოლოზ ცხვეთაძეს ბინაზე, მის შინ არ ყოფნის დროს, შეპარულან ქურდები და გაუტანიათ 21 თუმნის ნივთები. ეჭვით დააპატიმრეს მზარეული ილია მუსარიძე.

3 მაისს ანდრეევის ქუჩაზე მცხოვრებ მარიამ სემენოვისას რაღაც საწამლავი დაულევია. ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ექიმები ქალის მორჩენას ეჭვობენ.

პოლიციის გამოძიებით, 29 აპრილს ტფილისში მოკლულ ივანე იგატხანოვის მკვლელი უფილა გუმბრის მოქალაქე მიგირტიჩ ავეტისიანცი, რომელიც ტფილისში სარქისოვის სახელით სცხოვრებდა. ამავე მკვლელობისა გამო დაუპატიმრებიათ მნაცაკან ხაჩატუროვი, ზევან ოგანესოვი და მურურომი და პასუხის გებაში მისცეს.

1 მაისს მნაცაკანოვის ხიდზე მიმავალნი იაკობ ნატრაშვილი და ივანე მარტყოფაშვილი გაჩხრიკეს. მათ ბერდანის თოფები აღმოაჩნდათ.

„ფრანციის“ სასტუმროს კანტორიდან ქურდებს გაუტანიათ 700 მან. თამასუქები და 200 მანეთის ნივთები.

2 მაისს სავატიმროს ნასაყდართან მტკვარში ჩა[illegible] და თავი დაუხრჩვია.

[illegible] დიდიელებმა დააპატიმრეს სენაკის მაზრის მცხოვრები სოლომონ ქავთასია, რომელიც 5 მარტს გადაუსახლებიათ, მაგრამ იგი დაბრუნებულა.

3 მაისს, საღამოს 9 საათზე, ვიღაცამ მარტყოფის ქუჩაზე ხუთჯერ რევოლვერი გაუსროლია ჭაერში. ამის გამო რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

დღეს, 5 მაისისათვის (საღამოთ) დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულებისა.

2 მაისს პოლიციამ დააპატიმრა პეტრე სუხიევი და ივანე ბორისოვი, რომელნიც რუსეთში გადასახლების შემდეგ დაბრუნებულან. ამავე დღეს დიდუბეში გაჩხრეკის დროს 4 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს.

არწრუნის ქუჩაზე, 2 მაისს, ვიღაცამ ჭაერში რევოლვერი გაისროლა და გაიქცა. გაქცეულს გამოუდგა პოლიციელი და თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა, უცნობი შევარდნილა № 30 სახლის ეზოში, გადამხტარა ღობეზე და ძველ აკურხანების მოედანზე გასულა. დაპატიმრებული აღმოჩნდა ტიმოთე კირშენი, რომელსაც ჰქონებია სტეფანე მზევაზევსკის პასპორტი. რა განზრახვით გაუსროლია რევოლვერი, კირშენს ჯერ არ არის გამორკვეული.

# უკანასკნელი ამბავი ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**აბდულ-ჰამიდს სამხედრო სამართალში აღარ მისცემენ.**

ახალგაზდა ოსმალთაგან ბევრი თხოულობდა, აბდულ-ჰამიდი სამხედრო სამართალში მივცეთო. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ ხილმიფაშისა და შევკეთ-ფაშის მეცადინეობით, აბდულ-ჰამიდს სამხედრო სამართალში აღარ მისცემენო.

**სულთანი ამნისტიის გამოცხადებას აპირებს.**

სულთანი თხოულობს, რომ სამინისტრომ დაუყოვნებლივ შეადგინოს კანონპროექტი პოლიტიკურ დამნაშავეებისთვის ამნისტიის შესახებ.

**ბოლგარის დანიშვნა მინისტრად.**

ახალ კანონპროექტის თანახმად სამინისტროში მინისტრის ამხანაგის ერთ-ერთ. თანამდებობაზე ამას იქით ბოლგარი დაინიშნება.

**აბდულ-ჰამიდი სალონიკში.**

აბდულ-ჰამიდის მცველებმა ბოლოს დროს შენიშნეს, რომ ალატინის ვილას ტუსაღები ცდილობენ აფიცრებთან დაახლოვებას და დიდის ინტერესებით ჰკითხულობენ, თუ რა ამბები ხდება ოსმალეთში.

აბდულ-ჰამიდის 17 წლის ვაჟიშვილმა აბდულ-რაჰიმმა თურმე მეტად ხშირად დაიწყო სიარული მორიგ აფიცრებთან. იგი ნაირ-ნაირ საქმეებზე ეკითხებოდა აფიცრებს, ცხადია იმ აზრით, რომ როგორმე დაუახლოვდეს მათ. მაგრამ ყველანი ერიდებიან მასთან ლაპარაკს იმ საბუთით, რომ ტუსაღებთან ლაპარაკი აკრძალულიაო.

აბდულ-რაჰიმის გარდა, აფიცრებთან ხშირად დადის სულთნის ეხლანდელ საჰურისტ-უხუცესი ჯევერალა, ყველაზე დაახლოვებული პირი აბდულ-ჰამიდისა. იგი დიდხანს დარჩება ხოლმე აფიცრებთან და ახალ პოლიტიკურ ამბების შეტყობას ცდილობს.

მცველების უფროსმა მაიორმა ფეტი-ბეიმ დარაჯების რიცხვი 60-დან შეამოკლა 40-მდე.

**აბდულ-ჰამიდის პენსია.**

აბდულ-ჰამიდს დაუნიშნეს პენსია 12 ათასი ფრანკი წელიწადში. ამას გარდა ყველა მის ცოლშვილიან ვაჟიშვილს დაუნიშნეს 7200 ფრანკი წელიწადში თითოს.

**საფრანგეთ ს ელჩი კონსტანი.**

საფრანგეთის მთავრობამ გადააყენა თავისი ელჩი სტამბოლში ცნობილი კონსტანი, რომელსაც ახალგაზდა ოსმალებმა ბრალი დასდეს რომ იგი შესყიდული ყოფილა ოსმალეთ რეაქციონერებისგან ა. კონსტანის მაგივრად დაინიშნება ბომპარი.

**არეულობა მცირე აზიაში.**

მთავრობა ბეჯითად სცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა მოუღოს ბოლო არეულობას მცირე აზიაში. მახმუდ-შევკეთ-ფაშამ 1 მაისს 7 ბატალიონი ჯარი გაგზავნა ქალ. სმირნაში.

როგორც დღევანდელი დეპეშა იუწყება, ანატოლიასა და სირიაში უკვე მოუსპიათ არეულობა და წესიერება დაუმყარებიათ.

**შეთქმულობის აღმოჩენა.**

„გ. მ.“—ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, 25 აპრილს აღმოაჩინეს რეაქციონერების შეთქმულობა ახალ გაზდა ოსმალთა წინააღმდეგ. როგორც გამოირკვა ამ შეთქმულობას ფარიე ორგანიზაცია და მრავალი განყოფილება ჰქონია მთელს ოსმალეთში, მეტადრე იმ ვილაეთებში, რომლებიც აშკარად არა სცნობენ არც ახალ რეჟიმს, არც ახალ სულთანს.“ კორესპონდენტი დასძენს: დიდი ამბებია მოსალოდნელი, ე. ი. შეიძლება დიდი სახელმწიფოები ჩაერივნენ საქმეში.

# სპარსეთის ამბები

**რევოლიუციონერები მიუახლოვდნენ თეირანს**

თეირანიდან დეპეშით იუწყებიან: „ბახტიარები მიუახლოვდნენ თეირანს, ხოლო რევოლიუციონერების სხვა რაზმები უკვე თვალით ჩანან თეირანიდან. მათ სწადიანთ ერთსა და იმავე დროს ყველა მხრიდან მიიტანონ იერიში თეირანზე. რეაქციონერები სულ დაიბნენ. ყაზახთა ბრიგადას ფაცა-ფუცით ამზადებენ საბრძოლველად. ყაზახები და არტილერია დააყენეს სუსტად გამაგრებულ ადგილებზე. მაინც ჰფიქრობენ, რომ საქმე ბრძოლამდე არ მივაო. ტელეგრაფის მოშლას მოელიან.

**რუსეთი დაეხმარება შაჰს.**

„რეჩი“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: აქ ჰფიქრობენ, რომ როცა შაჰი შეასრულებს რუსეთ-ინგლისის წინადადებას, რუსეთი ბეჯით დახმარებას გაუწევს შაჰსა და წესიერებას აღადგენს სპარსეთშიო. როგორც ისმის, რუსეთი თავდაპირველად რეშტ-თეირანის გზას გასწმენდს კავკასიელ მეამბოხეთაგან. აქ ფიქრობენ, რომ, შეიძლება, რუსის ჯარი თეირანშიაც მოვიდესო.

**რუსეთი და ინგლისი ახალ მთავრობას ეხმარებიან.**

28 აპრილს რუსეთისა და ინგლისის საელჩოებმა დეპეშა გაუგზავნეს ყველა თავიანთ კონსულს სპარსეთში: ყოველი ღონისძიება მიიღეთ, რომ სპარსეთის ხალხი ნდობით მოეპყრას ახალ მთავრობას, რომელიც შაჰმა ამ დღეებში დანიშნაო.

**რუსის ჯარის კაცების ქცევა თავრიზში.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება თავრიზიდან: რუსის ჯარის კაცებმა არ იციან აღმოსავლეთის ჩვეულება და ამ უცოდინარობას ხან და ხან სამწუხარო შედეგი მოსდევს ხოლმე. რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ რუსის ჯარის კაცებმა სპარსელ ქალებს ჩადრები მოჰხადეს და სახეში შეხედეს. სპარსელების აღათით, ესეთი ქცევა ივლება უდიდეს შეურაცხყოფად, რომელიც ხშირად საშინელ შურისძიებას გამოიწვევს ხოლმე. რადგან ამის გამო არა ერთხელ მოხდა შეტაკება, რუსის აფიცრები იძულებულნი იყვნენ აეხსნათ ჯარის კაცებისათვის ამ ჩვეულების მნიშვნელობა“.

---

თანამგზავრი ფარულის და გამოურკვეველის გზით შედის მისთვის თითქო სრულიად უცხო ფორმებში, ფერებში, ხმებში, პოეტიურ ფანტაზიის ქმნილებებში, მარმარილოს, ბრინჯაოს, თიხის ქანდაკებაში, არქიტექტურულ შენობის ნაწილებში*), ბუნების მოძრაობაში და სხ. და შემდეგ იქიდან ესაუბრება იმავე მეს თავის უცნაურ ბედის ცვალებადობაზე, ყოველთვის უფრო მშვენიერად და წარმტაცად, ვიდრე ეს ადამიანს შეუძლიან. ეს ჰქმნის შესაძლებლად იმ მდგომარეობას, რომელსაც უკეთეს სახელის უქონლობის გამო „ესთეტიური სიამოვნება“ უწოდეს და რომლისთვისაც შოპენჰაუერსაც კი იმედით და შერიგებით სავსე სიტყვები აქვს, და მართლაც პირველად აქ ურიგდება ადამიანი სინამდვილეს, ხშირად ბედშავს და აუტანელს, ხშირად წვრილმანს და დაქუცმაცებულს, პირველად აქ ჰპოულობს ის სიტკბოებას ტანჯვაში და ტრაგიკულ განადგურებაში, პირველად აქ გამოდის მისი მე თავის საბედისწერო საზღვრებიდან, რომელიც მას ბუნებამ და საზოგადოებამ მიუჩინა და თავის სულიერ ბატონობის სფერის დაუსრულებამდი და მარადისობამდი აფართოვებს.

მე ჰხედავს აქ თავის თავს, თავის გრძნობებს და სულიერს წყობილებას ხორც შესხმულს ესთეტიურს შეხედულებაში. მაგრამ ეს გარემოება მისთვის ბედნიერს საიდუმლოებად რჩება, სანამ იგი აღტაცებული ხელოვნების უკვდავ ქმნილებათა და მშვენიერ ბუნების წინაშე სდგას. მხოლოდ შემდეგ, როცა მე ფხიზელს სინამდვილეს უბრუნდება, ფსიხოლოგიურ თვით ანალიზის წუთებში, შეუბრალებელი მეცნიერება ეუბნება მას, რომ ყველა ეს ილლუზია, ტკბილი ოცნება საჭირ-ბოროტო მდელვარების მიერ დაქანცულ სულისა, რომ ეს მის მიერვე შეტანილი გრძნობაა, რომელიც მეფე ლირის სახით უზომოდ იტანჯებოდა ადამიანურ უმადურობისა გამო, ან იჭვიანობდა ოტელლოსებრ, შურის ძიებას სცდილობდა, მაგრამ ვერა სძლებდა ჰამლეტივით ან განიცდიდა თავმოყვარეობის ჯოჯოხეთურს ლტოლვას ლედი მაკბეტივით. „ეს იყო მშვენიერი სიზმარი! მე მინდა კიდევ მესიზმროს ის“ (ფრ. ნიცშე): მე კიდევ და ერთხელ კიდევ უბრუნდება ამ სანახავს, იტანჯება აუტანელის სიამოვნებით, და სტკბება საშინელის ტანჯვით ფრთებს ისხამს უზენაესი მწვერვალებთან ასასვლელად, უდიდეს ადამიანობის საცქერად ან ეშვება ჯურღმულებსა და ქვეშეთში, რათა ფარდა ახადოს უსაზარლეს ქმნილებების ფსიხიურს შინაგნობას. პირველად აქ ჰხედავს ადამიანი თავის **მეს**, სულიერს და მუდმივ მიუწდომელს, **არამეში** განხორციელებულს, თავის უნაზესს და უეთეროვანესს გრძნობებს ხელშესახებს ფორმებში გაცოცხლებულს.

ადამიანი უბედურია არა მარტო მაშინ, როცა მისი გრძნობა და ლტოლვილება გარეშე პირობების ან ძლიერ მტრების მოწინააღმდეგე მიმდინარეობას ეჯახება და იღუპება. უფრო უბედური ის მაშინაც, როცა იმის გრძნობათა სიმთა ჟღერა არავითარ გამოხმაურებას არ ჰპოულობს მის გარშემო, როცა ის უაზრო მანქანებს ხვდება იქ, სადაც მგრძნობიარე და მებრძოლს ადამიანებს ელოდა. სიბოროტით, შურიანობით, ღვარძლით ან სისასტიკით დამახინჯებული სახე მხოლოდ საშიშია,—ყოველს სულიერობას მოკლებული, უძრავ ნიღაბ აფარებული, გაქვავებული ან გაშეშებული სახე კი თავზარდამცემი. უდიდესი გენიოსები ყოველთვის სულიერს ობლობას, უთვისტომობას, ბრბოს გაუგებრობას სთვლიდნენ თავიანთ უსაშინელეს სასჯელად. ი. ჭავჭავაძე სტირის არა თავის ტანჯვას, არამედ იმას რომ ეს მისი ტანჯვა მამულისთვის არავის ესმის:

მაგრამ. მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი
რომ ფიქრნი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო…

და აი ესთეტიურ გრძნობათა შეტანა აკმაყოფილებს ადამიანის იმ ინსტიქტურ, უძლეველ მოთხოვნილებას, რომელიც არსებითად პოპულიარულ ცნობიერებისთვის ანიმისტურ მსოფლიო-მხედველობაში, ხოლო ფილოსოფიურს აზროვნებისთვის სტოიკების. შემდეგ სპინოზას, შელლინგის და ბოლოს ფეხნერის ფილოსოფიაში გამოიხატა. კიდევ მეტი ხელოვნების სახით ის ჰქმნის ახალს სინამდვილეს, შეუდარებელს ყოველს სხვა სინამდვილესთან, მშვენიერს ლეგენდარულ კუნძულს, სადაც ადამიანი დღესასწაულობს თავის ხელახლად დაბადებას რეალურ დროსა და სივრცის გარეშე. აქ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი, ესპანელი გმირი დონ-კიხოტი ან დანიელი პრინცი ჰამლეტი ერთნაირად ახლოა ბერძენთან, ინგლისელთან და ქართველთან, სწორედ იმიტომ, რომ ის თავისუფალია სივრცის ჩარჩოებიდან,—აქ ყოველი წამი მიზანია თავის თავად, ხშირად უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი, ვიდრე მთელი წლები ჩვეულებრივ ცხოვრებისა, სწორედ იმიტომ, რომ ის აღარ ექვემდებარება რეალურ ჟამის ჩარხის ბრუნვას. უკვდავი ხელოვნება სპობს საზღვრებს საუკუნოებს შორის, გენიოსურ მომენტების მიერ შექმნილს ნაწარმოებს კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრად ჰხდის, საწუთროებას მარადისობას უახლოვებს და ამით ადამიანის მეორე ინსტიქტიურს და ელემენტარულს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს-ლტოლვას უკვდავებისადმი! მართალია ჰეგელი როცა იგი ესთეტიურს სულს—აბსოლუტურ სულს უწოდებს.

ამ სულის უზენაესი მოვლინება ტრაგიკული გრძნობაა, კიდევ უფრო რთული მოძრაობა, ვიდრე სხვა ესთეტიური გრძნობანი (მაგალ. ის „გულჩვილი თანაგრძნობა“, რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი), მაგრამ მათსავით შეუგნებლად და ინსტიქტიურად ხელოვნებაში შეტანილია.

გერონტი ქიქოძე.

(შემდეგი იქნება)

*) უადგილობისა გამო ჩვენ არ შევვიცვლიან აქ ყველა ხელოვნებას შევეხოთ ალაგ-ალაგ.

## თეატრი და ხელოვნება

**ტ. აბაშიძის ბენეფისი.** ქ-ნმა ტასო აბაშიძემ თავისი ბენეფისი საარტისტო საზოგადოების თეატრში გამართა. მიზეზი ამისა, თუ „ზაკავ."-ს დაუჯერებთ, ისა ყოფილა, რომ ქ-ნ აბაშიძეს არ უნებებია ამ ბენეფისიდან დრამატიულ საზოგაფოებასაც რგებოდა რამე. პირობაკი ისეთი ყოფილა, რომ ნაწილი შემოსავლისა საზოგადოებას უნდა დარჩენოდა. საკვირველი აქ არაფერია: სეზონი გათავდა, დრამ. საზოგადოება არტისტებისთვის საჭირო აღარ არის, მაშასადამე, „ცერემონიაც" მეტია...

თავის საბენეფისოდ ახალგაზრდა მსახიობ ქალს ორი ოპერეტი აერჩია—„რაინდი უშიშარი და გულმართალი" და „ნატვრის თვალი". ჩვენის აზრით, თუ ქ-ნ აბაშიძეს მაინცა და მაინც ოპერეტების წარმოდგენა უნდოდა, ბევრად უმჯობესი იქნებოდა სასიმღერო ადგილები სულ გამოეშვა და მთელი ოპერეტები ლაპარაკით ჩაეტარებინა. მართალია, იქ სადაც სიმღერა არ იყო, აშკარად სჩანდა როლების უცოდინარობა, მაგრამ მაინც ესა სჯობდა იმ ვითომ და „დამატკბობელ ჰანგებს", რომელიც ამ საღამოს მოვისმინეთ. თვითონ მობენეფისეს გარდა, არც ერთ მონაწილეს სასიმღერო ხმის ნასახიც-კი არა აქვს და აბა თქვენ წარმოიდგინეთ, რა უნდა ყოფილიყო ამ საღამოს დადგმული ოპერეტები! გულით შეგვეცოდა ქ-ნი მდივანი, რომელმაც ამდენი შნო და უნარი გამოიჩინა სეზონის განმავლობაში და რომელიც ცსოდენ შესაბრალისი იყო ამ საღამოთი. ბ-ნ იმედაშვილს, მაგალითად, რა უშავს, იმას ხმა მაინც შესწევს, რომ დაიყვიროს, და აკი ყვიროდა კიდეც, სიმღერის ნაცვლად, მაგრამ მდივანი თავის წრიპინით...

თავი დავანებოთ მონაწილეთა სიმღერის უნარსა და ხმას და ერთი ვიკითხოთ, რა საჭირო იყო ასეთ პირობებში ოპერეტების დადგმა? განა უკეთესი არ იქნებოდა, მობენეფისეს ხეირიანი და რიგიანი პიესა აერჩია და ის ჯაფა, რაც ოპერეტებზე დაიხარჯა, იმაზე დაეხარჯა?!

მაგრამ ვინ იცის, იქნება ზოგიერთის თვალში ისეთ ტლანქ და ეოფლად ულაზათო რამეების დადგმა, როგორიც არის „რაინდი უშიშარი" და „მეჯლისი იტალიელებთან", ხელოვნების დღესასწაულია. აკი ქართული თეატრის „გულშემატკივარმა" „ტ. ლ."-ს თანამშრომელმა ბ-ნმა ლ. ყიფიანმა ბ-ნ ვასილ აბაშიძის ბენეფისიც, როდესაც ასეთი ყოვლად უხეირო ოპერეტები დადგეს, საუკეთესო და საუცხოო წარმოდგენად აღიარა!..

ამავე საუცხოვო წარმოდგენად აღიარებს ბ-ნი ყიფიანი ეხლა ტასო აბაშიძის ბენეფისსაც. გულშემატკივრობაც ასეთი უნდა!

---

**სახალხო წარმოდგენა.** შაბათის სახალხო წარმოდგენას ზუბალოვშვილის თეატრში ხალხი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც ჩვეულებრივ ესწრება ხოლმე, ესე იგი თეატრი სავსე არ იყო- ვერც თამაშის მხრივ შეედრება ეს წარმოდგენა წინანდელებს. მწყობრად ვერ ჩაატარეს ყველა მოქმედება. ვფიქრობთ, რომ საკმაო რეპეტიციები არ უნდა ყოფილიყო. როლიც ზოგმა არ იცოდა. ზოგჯერ ერთის სათქმელს მეორე ამბობდა. იქ, სადაც სწრაფი ლაპარაკი იყო საჭირო, დიდ პაუზებს უშვებოდნენ. ორჯელ-სამჯერ სცენის მოყვარეებმა ერთმანეთსაც წასძახეს—სთქვი ჩქარა, შენი სათქმელიო. საერთოდ წარმოდგინას არა უშავდა რა, მაგრამ, ჩვენის აზრით, სცენის მოყვარენი ამ პიესას ძალიან კარგად წარმოადგენდნენ, შესაფერად რომ მომზადებულიყვნენ. ამისი საბუთი ის არის, რომ თეატრის ყველა სცენის-მოყვარემ შეიტანა თავისებურობა როლში. ნამდვილი ცრუ და გაიძვერა დირექტორი იყო ნ., გოცირიძე. ნიჭიერმა სცენის მოყვარემ ალღო სწორედ აუღო ამ ტიპს და თვით ბოლომდე მტკიცედ დაიცვა. შნოიანად წარმოადგინეს პატარა როლები თ. თამარაშვილმა, თ. გოგოლაშვილმა, ზურაბიშვილმა, ბაქრაძემ, ცაგარელმა და სხვებმა. სუსტები იყვნენ ვანაშვილი და ბიზენტალის როლის აღმსრულებელი.

სუფლიორი ძალიან ხმა მაღლა კითხულობდა. თითქმის უკანა რიგებში ისმოდა იმისი ხმა.

შემდეგი სახალხო წარმოდგენა გაიმართება 10 მაისს. წარმოდგენილი იქნება იუშკევიჩის დრამა „ქალაქში."

---

**ლევ იაბლონკოს კონცერტი.** ტფ. სამუსიკოსას წავლებლის დარბაზში დღეს, სამშაბათს, საღამოს 8 საათზე იმართება საინტერესო კონცერტი ახალგაზრდა კომპოზიტორის ლევ იაბლონკოსი. კონცერტს ჰმართავს „იკარისის" წრე, რომლის დამაარსებელ-დამფუძნებლადაც ითვლება ბ-ნი იაბლონკო. ახალგაზრდა კომპოზიტორი ებრაელია, დაიბადა ბათუმში, სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სამუსიკო განათლება მიიღო მიუნხენში.

ლევ იაბლონკოს მუსიკალური ნაწარმოებნი ამ ზამთარს პეტერბურგში შესრულდა სასახლის ორკესტრმა. საზოგადოებამ და მემუსიკე კრიტიკოსებმა ძალიან მოიწონეს და ერთხმად აღიარეს მისი დიდი ორგინალური ნიჭი.

მისი თხზულებანი პროგრამის ხასიათისაა. მუსიკა ასურათებს კომპოზიტორისაგან დასახულ პროგრამას. ისინი დაწერილია დიდ სიმფონიურ ორკესტრისათვის, მხოლოდ საღღესოდ ავტორმა გადააკეთა ეს თავის თხზულებანი სიმებიან სექსტეტისათვის, რომელიც შესდგება 12 კაცისაგან. ამ გვარად, სიმფონიურ ორკესტრის შთაბეჭდილებას მოახდენს ეს რექსტეტი. თვით ავტორი თავის ასასრულებელს დაუკრავს ფისჰარმონზე.

ამ საღამოს დაუკრავენ: სიმფონიას „ბეკლინ", რომელიც დაწერილია გამოჩენილ მხატვარ ბეკლინის სურათებისაგან მიღებულ შთაბეჭდილების შემდეგ; პრელიუდიას „მებადური და მისი სული",—დაწერილია ოსკარ უაილდის ზღაპრის შინაარსზე; სიმფონიურ სურათს „ბედის სიკვდილი" ეს ნაწარმოები—ვილიე დე-ლილ ადანის ამბავზეა დაწერილი. აგრეთვე დაუკრავენ ლეონიდ ანდრეევის „წითელ სიცილის" წაკითხვის შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილების გამო დაწერილ სამუსიკო ნაწარმოებს „ომს". მომაკვდავ ბედის სიმღერას ვიოლონზე (სკრიპკაზე) ასრულებს Solo-ს ძნელაძის ასული თამარი. ყველა ასასრულებელ ნომრის უმალ წაიკითხავს მისი პროგრამის შესახებ შესაფერ განმარტებას ბორის დოპატინსკი.

თქმა არ უნდა საინტერესო კონცერტი მიიზიდავს მსმენელებს. **დ.**

## რუსეთი

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 6, მოსკოვში 2, უფაში 3, პეტერბურგში 1, ვარშავაში 1, კიევში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კამიშინში 3, ოდესაში 2, ეკატერინოსლავში 1, ხარბინში 2, მოსკოვში 2 კაცი.

✦ **იოლოსის მკვლელის—ფედოროვის საქმე.** „რეჩის" სიტყვით მიხისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი ძალიან დაინტერესებულია თურმე იოლოსის მკვლელის—ფედოროვის საქმით. სტოლიპინს სურს, რომ ეს საქმე სასამართლოს გადასცეს, მაგრამ ის აფიქრებს, რომ ამ საქმეში გავლენიანი პირები ურევიან.

✦ **მემარჯვენეების შეკითხვა.** „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „მემარჯვენე დეპუტატების ერთმა ჯგუფმა (49 დეპუტატი) სახელმწიფო სათათბიროში მინისტრთა თავმჯდომარის სახელზე შეკითხვა შეიტანა. შეკითხვაში ნათქვამია: რა მიზეზი იყო, რომ მილიუკოვი, რომელიც პარიზში მცხოვრ რევოლიუციონერ პარტიების კონკრესზე მონაწილეობას იღებდა, საპართალში არ მისცეს".

**გასული თვე.** გასულ თვეში, აპრილში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 69 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 45 კაცი. ამ წლის პირველ ოთხ თვეში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 465 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 275 კაცი. აპრილში დაუჯარიმებიათ 75 გაზეთი, სულ 38,825 მანეთით.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი და მემარჯვენეები.** „ტიფლ." პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი მემარჯვენეებს სამედიატორო სასამართლოში იწვევს. მიზეზი—სახელმწიფო სათათბიროს სხდომების დროს მემარჯვენეების თავდაუჭერლობა და ლანძღვაგინებაა.

✦ **ზომიერი მემარჯვენეებ და სტოლიპინი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით ზომიერ—მემარჯვენეებს უნახავთ პრემიერ—მინისტრი სტოლიპინი და გადაუციათ, რომ ჩვენი ფრაქცია მხარს დაგიჭერთო.

✦ **საგენერალ-გუბერნატორებს გაუქმება.** «კასპის» სიტყვით მაისი გააუქმებენ ვილნოს და სტეპნოსი გენერალ-გუბერნატორებს. გაუქმების წინააღმდეგი მემარჯვენეები არიან.

✦ **სათათბიროს ყოფილი დეპუტატი კოლიუბაკინი.** როგორც ვიცით სახელმწიფო სათათბიროდან გამორიცხეს დეპუტატი კოლიუბაკინი. რუსეთისგაზეთების სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს კადეტების ფრაქციას კოლიუბაკინი თავის მდივნად აურჩევიათ. კოლიუბაკინს დეპუტატის ჯამაგირი მიეცემა.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს სესიის გათავება.** პეტერბურგში ხმა დადის თურმე, რომ სახელმწიფო სათათბიროს საზაფხულოდ 20 მაისს დაითხოვენ.

✦ **ოქტომბრისტები და პურიშკევიჩი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, პურიშკევიჩმა დეპუტატ ზახაროვის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშზე შემდეგი წააწერა. „ხელმწიფე-იმპერატორის მეურაცხყოფაა. აღვნიშნავ ამას, რომ ხომიაკოვმა არ გაახწორდა!" ოქტომბრისტების ფრაქციას ამის შესახებ რეზოლიუცია შეუმუშავებია. რეზოლიუციას სათათბიროს წარუდგენენ. რეზოლიუციაში ნათქვამი, რომ პურიშკევიჩის საქციელი დეპუტატების ღირსების შეურაცხყოფაა და ამასთანა მოქმედებებს ბოლო უნდა მოეღოსო.

✦ **კადეტების კანონ-პროექტი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით კადეტებს სახელმწიფოში შეაქვთ კანონ-პროექტი, რომლითაც „ვიბორგელებს" და ყოფილ დეპუტატ კოლიუბაკინს საარჩევნო უფლება დაუბრუნდებათ. ხმა დადის, რომ ოქტომბრისტებმა კადეტებს დახმარება აღუთქვესო.

✦ **სატუსაღოების რევიზია.** „ნოვაია რუსის" სიტყვით ზაფხულში მთელი რუსეთის საპატიმროებს რევიზიას გაუკეთებენ. რევიზორებად დაინიშნებიან საგანგებო საქმეთა მოხელენი.

✦ **საგამომძიებლო კომისიის დაბრუნება.** „ნოვაია რუსის" სიტყვით ვლადივოსტოკიდან დაბრუნდება ის საგამომძიებლო კომისია, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად ვლადივოსტოკის ნავთსადგურის საქმეების გამოსაძიებლად გაიგზავნა. კომისიას აუარებელი ახალა მეკრებია. კომისიას. სხვათა შორის, აღმოუჩენია დიდი ფულის გაფლანგვა: ქრთამები, სახაზინო ქონების დაფულის გაფლანგვა. ხომ ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა ვლადივოსტოკში. სახაზინო ფულის და ქონების გაფლანგვაში აუარებელი მოხელე ურევია. კომისია თავის მოხსენებას საზღვაო მინისტრს წარუდგენს. სამართალში 100 მდე მოხელეს აძლევენ. ამბობენ, რომ უმთავრესი ბოროტმოქმედნი გადარჩნენ და უმთავრესად პატარა მოხელეებს აძლევენ სამართალშიო. ელიან, რომ სასამართლო უფრო ნათელს ჰყოფს ვლადივოსტოკის ნავთსადგურის მოხელეების ბოროტმოქმედებას.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს თქვენის პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში.

ოზურგეთში ადგილობრივ ინტელიგენციამ კვლავ ითავა ამ სამი-ოთხი წლის წინად გაუქმებულ სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკის განახლება ჩვენის სახელოვან მგოსნის აკაკის სახელობაზე. რადგან ამ ხნობით სამკითხველო-ბიბლიოთეკას არავითარი მატერიალური სახსარი არ აქვს, ამისათვის იმის გამგეობის მეთაურობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით ფვით-მმართველობის დარბაზში გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა. ითამაშეს ქართულად „ქართველი დედა" ა. ცაგარლისა და რუსულად „როკოვოი დებიუტ". გაიყიდა ბილეთები 113 მან. 40 კაპ., ბუფეტიდან შემოვიდა 3 მან. 54 კაპ., შემოსწირა მეორე პლასტუნთა ბათალიონის მღვდელმა ი. ლაზხვა 3 მან., მოსე ი. სულუხიამ 50 კაპ., სულ შემოვიდა 120 მან. 44 კაპ. დაიხარჯა 58 მან. 19 კაპ. დარჩა ბიბლიოთეკას წმინდა 62 მან. 25 კაპ., რის გამო ბიბლიოთეკის გამგეობა ღრმეს მადლობას უცხადებს როგორც წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ: ქ-ნთ კაკალა ნაკაშიძეს, ეველინა წუწუნავას, ნ. ნაკაშიძეს, ბ-ნთ გოგიტიძეს, ხურციძეს, თალაკვაძეს, შაფაქიძეს, ქარცივაძეს, ლომაძეს, მახვილაძეს, ცელაძეს, აბაშიძეს და სხვებს, ისე პატივცემულ საზოგადოებას, რომელმაც შეძლებისადაგვარად შემწეობა აღმოუჩინა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ვიმედოვნებთ, რომ შემდეგშიაც განაგრძობენ ეს პატივცემულნი პირნი თავიანთ დახმარებას. განსაკუთრებით მადლობას ვწირავთ „ჩვენი საქმის" და „იალქნის" რედაქციებს, რომელთაც კეთილ ინებეს და უფასოდ დაუთმეს თავიანთი გამოცემანი ოზურგეთის სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

თავმჯდომარე ოზურგეთის სახალხო ბიბლიოთეკის გამგეობისა **თ. დიმ. ერისთავი.**

გამგეობის წევრნი: **ბ. ბებურიშვილი, ანნა მგელაძე, ბლ. მღ. სერგი გელოვანი.**

გამგეობის წევრი და ხაზინადარი **თეოფილე გოგიტიძე.**

---

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქვემორე დასახელებულ პირთ, რომელთაც ნივთიერი დახმარება გაუწიეს ს. აბედათის ახლად დაარსებულ უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. სია შემომწირველთა. ფულად: დ. კიწიადან: მასწ. ვასილ ჯანაშია—1 მ., მინა ბერიძე—1 მ., ვლადიმერ ხოშტარია—1 მ., ათინო ლოლუას ასული ბოკუჩავა—1 მ., ძაკი ზოსიმე ბოკუჩავას ასული 50 კაპ. დ. ბანძიდან: კიწილებანძელ ლადიმერ ლაბახუა—1 მ., აკაკი გოგოლაძე—1 მ., მელიტონ გაბუნია—1 მ., ილია ხუხუა—1 მ. სია შემომწირველთა წიგნებით: მინადორა და ელპიტ ჩაჩიბაიას ასულები—წიგნები ღირებული 3 მ. 15 კ., ნატალია ჩაჩიბაია—1 მ., იაჩესლავ მილოსლავსკი—25 კ., ნესტორ დავითის ძე თოდუა—30 კ. ს. სამიქაოდან: იონა ბოკერია—60 კაპ., მიხაილ ბოკერია—1 მ. 38 კ. ბესარიონ კარანაძე—60 კ., ლეონტი ჩორგოლაშვილი—35 კ., იასონ იოსელიანი—40 კ., ზედ. ორკლასიან შკოლის გრიგორ მიქაძე—95 კ.

ს. აბედათის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობის მონდობილებით.

**ანტონ ანჯაფარიძე.**

## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

### ტფილისიდან გადის

**ბათუმისაკენ:** 1) ჩქარი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საავარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საავარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

### ტფილისში მოდის

**ბათუმიდან:** 1) ჩქარი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საავარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საავარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლეგამლის ქუჩა, ს. N 29 ჩარექლისა. (წლ.—6.—50)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—79)

გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
წელიწადი მეხუთე. „ნაკადული" წელიწადი მეხუთე
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, ... პროსპექტზედ, ზუბალაშვილის სახლში N 8. ... დღეების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში).
1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის
მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს
24 წიგნი ჟურ. „ნაკადულის" მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურ. „ნაკადულის" მოზრდილთათვის. 36 სურათი გამოჩენილი მხატვრების.
გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: „რას გვიამბობს ოთახი", ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.
ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი.
ნახევარი წლით სამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი.
სამზღვარ-გარედ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით . . . . —4 მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
რედაქტორი **მ. ი. დემურიასი.**
(6—შ.—6) გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**

**20 მაისიდან 1 ოქტომბრამდის გახსნილი იქნება საექიმოს ეზო**
● „ზ ე კ ა რ ი ს" ●
—◀ ცხელი წყლის ▶—
# ა ბ ა ნ ო
როგორც გამოკვლეულია ქიმიის მაგისტრის ბ-ნ სტრუვეს მიერ, ზეკარის წყალი თავის საექიმო თვისებებით სრულიად უდრის აბასთუმნის გოგირდის წყლებს. საუკეთესო ძალას იჩენს ეს აბანო შემდეგ სენების განკურნვაში: რევმატიზმი, ბუასილი, ... ვის ტკივილი, საყმაწვილო, ქალთა ავადმყოფობა, ჩუჩი ციება, გულის სისუქნე და სხ.
აბანო ესე მდებარეობს ჰაერის მხრივ მშვენიერ მთიან ალაგას, 47 ვერსის მანძილზე ქ. ქუთაისიდან და 22 ვერსტზე დ. ბაღდათიდან, აბასთუმნის გზაზედ. მოსვლა ბაღდათამდე სწარმოებს დილიჟნით და შემდგომ კი ლინეიკით, რომელნიც დანიშნულ დროზე დაიარებიან ყოველ დღე და ღირს ქუთაისიდგან აბანომდე 1 მანეთი და 60 კაპეიკი.
აბანოს აქვს სამი კერძო, ცოლშვილიანთათვის, და ორი საზოგადო ვანნა სუფთა და სრული, ამასთანავე არის 28 სადგომი ნომერი მომსვლელთათვის. ფასი ვანნების კერძოსი 20, 25 და 30 კაპ. სულზე, მხოლოდ საზოგადო ვანნებში კი 15 ... სადგომი ნომრები დღე და ღამ ღირს დაწყებული 60 კაპ. 1 მან. 50 კაპ. და მანეთიდან 30 მანეთამდე თვიურად.
ამასთანავე აბანოს აქვს მორთული ცალკე მშვენიერი სუფთა სასადილო ევროპიულ და ჩვენებურ საჭმელებით. სადაც ყოველთვის მზადდება საჭმელები ახალ ნოვაგესაგან ძლიერ დაკლებ. ფასებში. იქვე მიიღება ღვინო და სხვა მაგარი სასმელები.
●▶—ეზო ნათლდება დიდი გაზის ფანრით—◀●
წყლებს იცავს სამხედრო დარაჯები.
(4—191—4) თ. ი. კუსაკანი.




Швейныя машины „Кайзеръ"
# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
## მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
**ა დ რ ე ს ი:** А, Р, Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—32)

◀ ა ლ მ ე ზ ა ▶
**ჯერ არ ყოფილა ამ გვარი უტყუარი კბილის მომრჩენი წამალი.**
**ალმეზა**—სულ ორ წუთში აცხრობს კბილის ტკივილს.
**ალმეზა**—ჰკარგავს სამუდამოდ ღრძილების ტკივილს და სისხლის დენას.
**ალმეზა**—ზრდის საკვირვლად ღრძილებს და ამაგრებს კბილებს.
**ალმეზას**—კეთების შემდეგ დანარჩენი კბილები არ აგტკივდებათ.
**ალმეზა**—ჰკარგავს სამუდამოდ პირის სიმყრალეს.
**ალმეზა**—არის აუცილებლად საჭირო ყოველს ოჯახში.
**ალმეზა**—არის საჭირო მოგზაურობის დროს.
**ალმეზა**—უტყუარი საშუალებაა.
**ალმეზა**—ღებულობს აუარებელ სამადლობელ წერილებს.
**ალმეზა**—დაჯილდოებულია გამოფენებზე.
**ალმეზით**—ვარჩენთ ავადმყოფებს კაბინეტში უფასოდ. დასარწმუნებლად, რომ უტყუარი საშუალებაა.
**ალმეზა**—მოიკითხეთ აფთიაქებში აფთიაქის მაღაზიებში.
**ალმეზა**—არ აურიოთ კბილის სხვა წამლებში. მალე დარწმუნდებით, რომ ამ გვარი უტყუარი წამალი არ იპოვება.
**ალმეზას**—გამოწერა შეიძლება მთავარ საწყობიდან: ტფილისი, პუშკინის ქ. N ...
წარმომადგენელი მთელ კავკასიისთვის და ამიერ-კასპიის მხარისათვის
**ი. გ. ახობაძე.** (1—246—)

**დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში**
# ახალი არსენას ლექსი.
ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.
წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიულად ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდავებს ...% მორიგება.
ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი". (10—6.—)

# ამხ. „სორაპანის" გამოცემა
ქართველი და უცხოელი მწერლები
# „ახალი ჩანგი"
„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლებისა".
მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა კითხვის საზოგადოებისა, „რეჩის" კიკნაძისა სახაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა" კიროჩნის ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.
**ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს**—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება (200 გვ.)** 25 კ. წიგნი კერძოდ გასასყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებით გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ", М. Гачечиладзе.
**დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.**
(10—6.—)


სტამბა „ხანაპლა", დიდ. ქაქ. ქუჩ., № 14 რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აბლაძე.**